



ბატონ ირაკლი კობახიძეს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
რუსთაველის გამზირი N8
თბილისი 0118, საქართველო

ბრიუსელი, 10 სექტემბერი 2018წ.

RE: უფასო იურიდიული დახმარების სამსახური

ძვირფასო ბატონო კობახიძე,

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE) წარმოადგენს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებსა და სამართლის საზოგადოებებს და აერთიანებს 1 მილიონზე მეტ ევროპელ ადვოკატს. CCBE წარმოადგენს ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საერთო ინტერესებს ევროპული და საერთაშორისო ინსტიტუტების წინაშე. სხვა მნიშვნელოვან მიზნებს შორის, CCBE-ის უმთავრეს მისიას წარმოადგენს პროფესიის რეგულირება და სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ღირებულებების დაცვა.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ მომართა CCBE-ს იურიდიული დახმარების საბჭოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (N39, 2016 წლის 2 მარტი), რომელიც შეეხება სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის ადვოკატების მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარების ხარისხის შეფასების წესებსა და კრიტერიუმებს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ CCBE-სადმი მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, შემოთავაზებული ხარისხის შეფასების სისტემა შესაძლოა სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გამოყენებული იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამსახურს კლიენტის მხრიდან არ მიუღია საჩივარი გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებით. შეფასების სისტემა საზოგადოებრივი ადვოკატებისგან მოითხოვს: ა) განმარტონ და დაასაბუთონ კონკრეტულ საქმეში გამოყენებული დაცვის სტრატეგია; ბ) გაამჟღავნონ პერსონალური ინფორმაცია მათი კლიენტების შესახებ; გ) აღწერონ საქმის შინაარსი და შესაბამისი მასალები; დ) განმარტონ საქმესთან დაკავშირებით შეგროვებული ინფორმაციისა და ფაქტების სისრულე; ე) შეაფასონ კლიენტისადმი გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების ხარისხი.

CCBE ასევე ინფორმირებულია, რომ საქართველოში იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა საზოგადოებრივი ადვოკატი ამავდროულად არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი და შესაბამისად, ეკისრება ვალდებულება პროფესიული საქმიანობა განახორციელოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდებისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად, რომელი აქტების ძირითადი პრინციპებიც დაირღვევა შემოთავაზებული შეფასების სისტემის დანერგვის შემთხვევაში.

მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, CCBE-ის სურს გამოხატოს სერიოზული შეშფოთება იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ვინაიდან აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს იურიდიული პროფესიის უმთავრესი პრინციპების, განსაკუთრებით კი - დამოუკიდებლობისა და კონფიდენციალობის პრინციპების დარღვევა.

ადვოკატთა ვალდებულება, დაიცვან კონფიდენციალობა პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე საიდუმლოდ მიღებულ ინფორმაციაზე არის პროფესიის უმთავრესი პრინციპი და იგი აღიარებულია როგორც ხარისხიანი იურიდიული დახმარების მიწოდების უმთავრესი წინაპირობა. იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქის კონფიდენციალობის დაცვის უფლება, ანუ მოქალაქის უფლება არ იქნეს გამჟღავნებული მასსა და მის ადვოკატს შორის არსებული კომუნიკაცია, იქნება უარყოფილი ან თუნდაც ეს არ იქნება გარანტირებული, შესაძლოა ინდივიდებს შეეზღუდოთ სამართლებრივი რჩევისა და მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უფლება.

ამ ძირითადი პრინციპის მნიშვნელობა აღიარებულია არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე, არამედ ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე.

შეიძლება ითქვას, რომ შემოთავაზებული ხარისხის შეფასების სისტემის წესები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს და აგრეთვე ევროკავშირის ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 47 და 48(2) მუხლებს და ამ მუხლებთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრაქტიკას.

უფრო კონკრეტულად, [CCBE-ის „ევროპაში იურიდიული პროფესიის ძირითადი პრინციპების ქარტია“](#) და [CCBE-ის ევროპელ ადვოკატთა ქცევის კოდექსი](#) (გამოიყენება სახელმწიფო ფარგლებს გარეთაც, როდესაც იგი იმპლემენტირებულია ეროვნულ დონეზე) შეიცავს კონფიდენციალობის შესახებ დებულებებს. ქარტიის პრინციპი (B) ადგენს, რომ ადვოკატის უფლება და მოვალეობაა, დაიცვას კლიენტის საქმის კონფიდენციალობა და პატივი სცეს პროფესიულ საიდუმლოებას. პრინციპის (B) კომენტარი აზუსტებს, რომ კონფიდენციალობის დაცვის გარანტიის გარეშე ვერ იარსებებს ნდობა და ხაზს უსვამს კონფიდენციალობის პრინციპის ორმაგ ბუნებას - კონფიდენციალობის დაცვა არა მხოლოდ ადვოკატის ვალდებულებაა, ის ასევე კლიენტის ადამიანის ძირითად უფლებათაგან ერთ-ერთია. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი მოიცავს ყველა დაკავშირებულ ცნებებს, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს ეროვნული კანონმდებლობების მიხედვით, როგორც არის პროფესიული საიდუმლოება, პროფესიული პრივილეგია და კონფიდენციალობა. **ადვოკატის მოვალეობა კლიენტის მიმართ ძალაში რჩება მაშინაც, როდესაც ადვოკატი დაასრულებს კლიენტის სამართლებრივ წარმომადგენლობას.**

ამასთან, [CCBE-ის რეკომენდაციები](#) იურიდიული დახმარების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა CCBE-ს მიერ 2018 წლის 23 მარტს, განსაზღვრავს ხარისხიანი იურიდიული დახმარების მიწოდების სახელმძღვანელო პრინციპებს. ცნობს რა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოების ეროვნული სამართლებრივი დახმარების სისტემების ისტორიულ განვითარებას და თავისებურებებს, საუკეთესო პრაქტიკაზე და სხვადასხვა მიდგომების შედარებაზე დაყრდნობით, ეს რეკომენდაციები პირველ რიგში მიზნად ისახავს იურიდიული დახმარების სისტემების გაუმჯობესებას იმათი ინტერესების დაცვისათვის, ვინც მიმართავს იურიდიულ დახმარებას მართლმსაჯულებისათვის.

აღნიშნულ რეკომენდაციებში CCBE ხაზს უსვამს, მათ შორის, **იურიდიული დახმარების მიწოდებელთა სრული დამოუკიდებლობის აბსოლუტურ აუცილებლობას**, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა შესაძლო კონფლიქტი ან ნებისმიერი სახის გაუმართლებელი ჩარევა მათ საქმიანობაში და გარანტირებული იყოს პროფესიული საიდუმლოების დაცვა/კონფიდენციალობა. ეს პრინციპი წარმოადგენს სამართლის უზენაესობის ქვაკუთხედს. ამ პრინციპის მიხედვით, CCBE-ის რეკომენდაციებში ასევე ნათლად დადგენილია, რომ სახელმწიფოს მიერ დაქირავებულ იურიდიული დახმარების ადვოკატებზე უნდა გავრცელდეს იგივე პროფესიული წესები, რაც კერძო ადვოკატებზე, განსაკუთრებით დამოუკიდებლობასთან და კონფიდენციალობასთან მიმართებაში.

რეკომენდაციები ასევე შეეხება იურიდიული დახმარების ხარისხისა და სერვისის მიწოდებაზე მონიტორინგის განხორციელების საკითხს.

ადვოკატების მიერ იურიდიული დახმარების მიწოდებასთან დაკავშირებით, CCBE-ის რეკომენდაციები ადგენს, რომ ამგვარი მონიტორინგი შესაძლოა ჩატარდეს შესაბამისი ადვოკატთა ასოციაციის მიერ და არა იურიდიული დამხმარების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სხვა შესაძლო სუბიექტის მიერ.

შესაბამისად, CCBE-ის მოწოდებაა, რომ როდესაც ინერგება ხარისხის შეფასების წესები იურიდიული დახმარების სამსახურებისთვის, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნეს იურიდიული პროფესიის ზემოაღნიშნული მთავარი პრინციპები.

პატივისცემით,

ანტონინ მოკრი

CCBE-ის პრეზიდენტი

ასლი: ქ-ნ თეა წულიკიანს, საქართველოს იუსტიციის მინისტრი
ბ-ნ გიორგი მიქაუტაძეს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი
ქ-ნ ნინო ლომჯარია, საქართველოს სახალხო დამცველი
ბ-ნ დავით ასათიანი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე